



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 02

2020 წლის 28 თებერვალი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურში, მარინა დებტიარევის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებში, საცხოვრებელი უბნის დაგეგმარების განაშენიანების დეტალური გეგმისათვის წინასაპროექტო კვლევისა და განვითარების კონცეფციის დამტკიცების შესახებ


საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს, „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დებულების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N261 დეკრეტის და მოქალაქე მარინა დებტიარევის 2020 წლის 10 იანვრის N268/05 განცხადების საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურში, მარინა დებტიარევის კ/N61006044020 საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებში (ს/კ22.22.14.212; (ს/კ22.22.14.424; (ს/კ22.22.14.368; (ს/კ22.22.14.212324; (ს/კ22.22.14.454; (ს/კ22.22.14.255; (ს/კ22.22.14.165; (ს/კ22.22.14.458; (ს/კ22.22.14.460; (ს/კ22.22.14.155; (ს/კ22.22.14.212445; (ს/კ22.22.14.446; (ს/კ22.22.14.322; (ს/კ22.22.14.459; (ს/კ22.22.14.469; (ს/კ22.22.14.212) საცხოვრებელი უბნის დაგეგმარების განაშენიანების დეტალური გეგმისათვის წინასაპროექტო კვლევა და განვითარების კონცეფცია.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე